ბრძანება:**ბ126. 126240083**

თარიღი:**08/01/2024**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე 53-ე და 54 -ე მუხლების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“,„ე.ვ“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ №654 დადგენილებისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2401-ე განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ა ნ ე ბ :

1.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით და მათ შორის ფუნქციები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) ივანე ბურდული (მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) - პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან;

ბ)კორნელი სალია (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე)- საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

გ)გიორგი ხარჩილავა (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი/წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

დ)ალბერტ ჭანია (ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ) - ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/ კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;

ე) გელა სალია (ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი) - საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტების მომზადება;

ვ) ეკატერინე ბელქანია (ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი)-მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელის გვერდის (

facebook-გვერდის), ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;

ზ) თეა სარია (საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი) - პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების შესახებ წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა;

თ) ელენე ბერაია (მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი) - მერიის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა.

ი) ლალი კვარაცხელია (წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე)-სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ზოგადი მხარდაჭერა.

2.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებულიწესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულსასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი ხარჩილავა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი